აკაკი წერეთლის სახელმწიფო
უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
ACADEMIC BOARD OF AKAKI
TSERETELI STATE UNIVERSITY

თამარ მეფის ქ. № 59
მის: 4600, საქართველო, ქუთაისი

ტელ: (+995 331) 4 21 73 ფაქსი (+995 331) 4 38 33
ელ.ფოსტა atsu@atsu.edu.ge

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
აკადემიური საბჭო
5 დეკემბერი, 2017

დადგენილება №26 (17/18)
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური კალენდრის შემუშავების წესი დამტკიცების შესახებ

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური კალენდრის შემუშავების წესი დამტკიცდეს თანდართული ფორმით.

აკადემიური საბჭოს
თავმჯდომარე, რექტორი: პროფ. გიორგი ღავთაძე

თავი I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. რეგულირების სფერო

1.1. წინამდებარე წესი განსაზღვრავს უნივერსიტეტში აკადემიური კალენდრის შემუშავების პროცედურულ საკითხებს.

1.2. სასწავლო პროცესის მართვის სამსახური ყოველ სასწავლო წელს ადგენს სასწავლო-აკადემიური წლის გრაფიკს

1.3. ყოველი სასწავლო წლის დასაწყისისათვის სასწავლო-აკადემიური წლის გრაფიკი მტკიცდება რექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით.

მუხლი 2. აკადემიური კალენდარი

2.1. აკადემიური კალენდარის შემუშავების პროცედურები:

- ყოველი სასწავლო წლის არაუგვიანეს10 ივნისისა, გასული სასწავლო წლის აკადემიური კალენდრის ფაქტობრივი შესრულების განხილვისა და შეფასების საფუძველზე, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი ადგენს მომდევნო სასწავლო წლის აკადემიური კალენდრის პროექტს;
- სასწავლო წლის აკადემიური კალენდრის პროექტი, კოორპორაციული ფოსტით, ეგზავნება უნივერსიტეტის რექტორს, რომელიც პროექტს განსახილველად უგზავნის ფაკულტეტის დეკანებს და სამსახურის უფროსებს;
- ფაკულტეტის დეკანები და სამსახურის უფროსები, თავიანთ შეხედულებებს პროექტთან დაკავშირებით, უგზავნიან სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსს;
- სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი, დეკანებიდან და სამსახურებიდან მიღებული ინფორმაციის გადამუშავების საფუძველზე, უნივერსიტეტის რექტორატის საბჭოს წარუდგენს სასწავლო წლის აკადემიურ კალენდარს შესათანხმებლად;
- რექტორატის საბჭოზე მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი ამზადებს ბრძანების პროექტს აკადემიური კალენდრის გრაფიკთან დაკავშირებით და წარუდგენს უნივერსიტეტის რექტორს;
- უნივერსიტეტის რექტორი არაუგვიანეს 25 ივნისისა გამოსცემს ინდივიდუალურ სამართლევბრივ აქტს და ამტკიცებს სასწავლო-აკადემიური წლის გრაფიკს, რომელიც განთავსდება, უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

2.2. აკადემიური კალენდარი მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:

- სასწავლო სემესტრის დაწყების და დასრულების თარიღებს;
- აუდიტორული მუშაობის განრიგს, სწავლების საფეხურების მიხედვით;
- არდადეგებს და დასვენების დღეებს;
- შუალედური შეფასებისა და დასკვნითი გამოცდის ჩატარების, განმეორებითი გამოცდების ჩატარების თარიღებს და პერიოდს;
- ზამთრისა და ზაფხულის სკოლების განხორციელების პერიოდებს, რომლის კონკრეტული თარიღები მტკიცდება რექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით;
- სხვა საჭირო ინფორმაციას.

მუხლი 3. სასწავლო - აკადემიური წელი

3.1. სასწავლო - აკადემიური წელი მოიცავს ორ (შემოდგომის და გაზაფხულის) სემესტრს. თითოეული სემესტრი მოიცავს ცხრამეტ კვირას. მათ შორის:

- 15 კვირა ეთმობა სააუდიტორიო მუშაობას;
- 1 კვირა - შუალედურ გამოცდებს;
- 2 კვირა - დასკვნით საგამოცდო სესიებს;
- 1 კვირა - დამატებით საგამოცდო სესიებს.

3.2. საკრედიტო სისტემის შესაბამისად, სტუდენტის დატვირთვა ერთი აკადემიური წლის განმავლობაში მოიცავს 60 კრედიტს (სემესტრში 30 კრედიტს), რაც შეესაბამება სასწავლო

საქმიანობის 1500-1875 ასტრონომიულ საათს. დასაშვებია სტუდენტის წლიური დატვირთვა აღემატებოდეს 60 კრედიტს, ან იყოს 60 კრედიტზე ნაკლები. დაუშვებელია სტუდენტის წლიური დატვირთვა აღემატებოდეს 75 კრედიტს. აღნიშნული კრედიტები შეიძლება მოიცავდეს:

- სავალდებულო და არჩევით კურსებზე (ლექციებზე) დასწრებას, ჯგუფში მუშაობას, პრაქტიკულ ან/და ლაბორატორიულ მეცადინეობას;
- დამოუკიდებელ მუშაობას;
- სასწავლო, სამეცნიერო, შემოქმედებით, პროფესიულ, პედაგოგიურ ან საწარმოო პრაქტიკას;
- გამოცდების მომზადება-ჩაბარებას;
- კვლევით თეორიულ ნაშრომზე ან პრაქტიკულ პროექტზე მუშაობას;
- აწსუ-ს და/ან პარტნიორი ორგანიზაციების კლინიკებში, ლაბორატორიებში და ა.შ. მუშაობას;
- შემოქმედებით პროექტზე მუშაობას;
- საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სხვა აქტივობების შესრულებას;

3.3. ერთი კრედიტი აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოიცავს სტუდენტის სასწავლო საქმიანობის 25 ასტრონომიულ საათს.

3.4. უნივერსიტეტში სასწავლო პროცესი მიმდინარეობს ყოველ სასწავლო კვირას ექვსი დღის განმავლობაში.

მუხლი 4. დასვენების დღეები

- 1, 2 იანვარი - ახალი წლის სადღესასწაულო დღეები;
- 7 იანვარი - შობა;
- 19 იანვარი - ნათლისღება;
- 3 მარტი - დედის დღე;
- 8 მარტი - ქალთა საერთაშორისო დღე;
- სააღდგომო დღეები - დიდი პარასკევი, დიდი შაბათი, უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი ბრწყინვალე აღდგომის დღე, მიცვალებულთა მოხსენიების დღე-აღდგომის მეორე დღე-ორშაბათი(თარიღები გარდამავალია.
- 9 აპრილი - საქართველოს ეროვნული ერთიანობის, სამოქალაქო თანხმობისა და სამშობლოსათვის დაღუპულთა მოგონების დღე;
- 9 მაისი - გამარჯვების დღე;
- 12 მაისი - წმინდა ანდრია მოციქულის ხსენების დღე;
- 26 მაისი - საქართველოს დამოუკიდებლობის დღე;
- 28 აგვისტო - მარიამობა;
- 14 ოქტომბერი - სვეტიცხოვლობა;
- 23 ნოემბერი - გიორგობა.

მუხლი 5. შეფასება

სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის დაკვეთით მარკეტინგის, ღონისძიებებისა და პროექტების მართვის სამსახური, აკადემიური წლის განმავლობაში ორჯერ, ატარებს სტუდენტთა გამოკითხვას მიმდინარე აკადემიურ სასწავლო წელთან დაკავშირებით და გამოკითხვის შედეგებს აცნობებს რექტორატის საბჭოს. გამოკითხვის შედეგები ხელმისაწვდომია აწსუ ნებისმიერი სტრუქტურული ერთეულისათვის შემდგომი რეაგირების საჭიროების შესაბამისად.